



**დამოუკიდებელი ინსპექტორის  
გ ა და წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა**

ქ. თბილისი

2020 წლის 29 დეკემბერი

**დისციპლინური საქმე №117/19  
მოსამართლე --- მიმართ  
დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ**

-- -- 2019 წლის 24 ივნისის №117 საჩივრის საფუძველზე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75<sup>5</sup> მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 75<sup>6</sup> მუხლის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მოსამართლე --- -- მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება და წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის 2019 წლის 5 ივლისის №339/117-03 წერილით მოსამართლეს ეცნობა მის მიმართ საჩივრის შემოსვლის და დისციპლინური სამართალწარმოების დაწყების შესახებ.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ დასკვნა მომზადდა 2019 წლის 30 ივლისს.

**1. საჩივრის ავტორის მიერ მითითებული ფაქტები:**

საჩივრის ავტორი მოსამართლის მიერ მიღებული განჩინებისა და გადაწყვეტილების კანონიერებას ხდის სადავოდ.

**2. საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები:**

-- -- სასამართლოს 2017 წლის 20 სექტემბრის განჩინებით, -- -- სარჩელი, მოპასუხის - -- -- მიმართ, თანხის დაკისრების თაობაზე (ბინის ქირა -- ლარი + -- ლარი პროცენტი), არ იქნა მიღებული წარმოებაში.

-- -- 2017 წლის 20 სექტემბრის განჩინება გაასაჩივრა კერძო საჩივრით. -- სააპელაციო სასამართლოს განჩინებით გაუქმდა -- -- სასამართლოს 2017 წლის 20 სექტემბრის განჩინება, საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა პირველი ინსტანციის სასამართლოში.

2018 წლის 26 დეკემბრის გადაწყვეტილებით -- -- სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ. -- --, -- -- სასარგებლოდ, დაეკისრა -- აშშ დოლარის გადახდა, გადახდის დროისათვის არსებული კურსის შესაბამისად ეროვნულ ვალუტაში; -- --, სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ, დაეკისრა -- ლარის გადახდა. -- --, -- -- სასარგებლოდ, დაეკისრა იურიდიული მომსახურების ხარჯის ნაწილის -- ლარის ანაზღაურება; -- -- უარი ეთქვა -- -- ბინის ქირიდან დაკავებული -- ლარის კომუნალური მომსახურების საფასურის საერთო თანხით -- ლარის დაკისრების მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე.

2019 წლის 26 იანვარს გამოტანილი იქნა დამატებითი გადაწყვეტილება. -- --, -- -- სასარგებლოდ, დაეკისრა მოპასუხის მიერ გაწეული ხარჯის, -- ლარის გადახდა.

-- -- სააპელაციო საჩივარი -- -- სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 26.12.2018 წ. გადაწყვეტილებაზე დარჩა განუხილველი.

### 3. დამოუკიდებელი ინსპექტორის 2019 წლის 30 ივლისის დასკვნა:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს კანონის 75<sup>1</sup> მუხლის მე-2 პუნქტი განსაზღვრავს მოსამართლის დისციპლინური გადაცდომის სახეებს (2020 წლის 1 იანვრამდე მოქმედი რედაქცია). იმისათვის, რომ დადგინდეს ჰქონდა თუ არა ადგილი მოსამართლის მიერ შესაბამისი გადაცდომის ჩადენის ფაქტს საჭიროა სამართლებრივი შეფასება მივცეთ მოცემულ საქმეზე დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს და შევაფასოთ კონკრეტული ფაქტები შეიცავენ თუ არა დისციპლინური გადაცდომის ნიშნებს.

ყურადღება უნდა გამახვილდეს იმ გარემოებაზე, რომ საქართველოს კონსტიტუციის 63-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, არავის არა აქვს უფლება მოსთხოვოს მოსამართლეს ანგარიში კონკრეტულ საქმეზე. „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მოსამართლე თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია. მოსამართლე ფაქტობრივ გარემოებებს აფასებს და გადაწყვეტილებებს იღებს მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციის, საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების, სხვა კანონების შესაბამისად და თავისი შინაგანი რწმენის საფუძველზე.

ამასთან, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75<sup>10</sup> მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, დისციპლინური სამართალწარმოების დროს დაუშვებელია მოსამართლის მიერ გამოტანილი აქტების კანონიერებაზე ზედამხედველობა.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 186-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, მოსამართლე სარჩელის ჩაბარებიდან 5 დღის ვადაში არ მიიღებს სარჩელს თუ - „საქმე ამ სასამართლოს განსჯადი არ არის“. ამდენად, სასამართლო საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 186-ე მუხლის თანახმად უფლებამოსილია შესაბამისი საფუძვლების არსებობის შემთხვევაში არ მიეღოს სარჩელი განსახილველად.

მოსამართლე -- -- 2017 წლის 20 სექტემბრის განჩინებების მიღებისას (სარჩელის წარმოებაში მიღებაზე უარის თქმის შესახებ) მოქმედებდა სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობის ფარგლებში და შესაბამისი საკითხების შეფასება მის უფლებამოსილებას წარმოადგენდა,

ასევე, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 243-ე მუხლის თანახმად პირველი ინსტანციის სასამართლოს დადგენილება, რომლითაც საქმე წყდება არსებითად, სასამართლოს გამოაქვს გადაწყვეტილების ფორმით. ამავე კოდექსის 244-ე მუხლის თანახმად, გადაწყვეტილების გამოტანისას სასამართლო აფასებს მტკიცებულებებს, განსაზღვრავს, თუ საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე რომელი გარემოებებია დადგენილი და რომელი - დაუდგენელი, რომელი კანონი უნდა იქნეს გამოყენებული ამ საქმეზე და დაკმაყოფილებულ უნდა იქნეს თუ არა სარჩელი.

მოსამართლე -- -- 2018 წლის 26 დეკემბრის გადაწყვეტილების მიღებისას მოქმედებდა მისთვის საპროცესო კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილებების ფარგლებში და სარჩელის დაკმაყოფილება/არ დაკმაყოფილების საკითხის შეფასება მის უფლებამოსილებას წარმოადგენდა. თუ მოსამართლე მიიჩნევს, რომ წარმოდგენილი სარჩელი საფუძვლიანია იგი დააკმაყოფილებს მას, წინააღმდეგ შემთხვევაში კი პირიქით, უარს ეტყვის მხარეს მის დაკმაყოფილებაზე.

ამდენად, საქართველოს იუსტიციის საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორი არ არის უფლებამოსილი იმსჯელოს მოსამართლის მიერ, თავისი შინაგანი რწმენის საფუძველზე, მტკიცებულებათა შეფასების შედეგად, გამოტანილი განჩინების/გადაწყვეტილების კანონიერებაზე.

#### **4. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები:**

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის თანახმად, დისციპლინურ გადაცდომად შეიძლება მიჩნეულ იქნას მხოლოდ ისეთი ქმედება, რომელიც „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75<sup>1</sup> მუხლის მე-8 პუნქტშია მოცემული (2020 წლის 1 იანვრიდან მოქმედი რედაქცია).

მნიშვნელოვანია, რომ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75<sup>10</sup> მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, დისციპლინური სამართალწარმოების დროს დაუშვებელია მოსამართლის მიერ გამოტანილი აქტების კანონიერებაზე ზედამხედველობა. შესაბამისად, საჩივრის ავტორის მითითება მოსამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილების/განჩინების კანონიერების თაობაზე არ შეიძლება განხილულ იქნეს დისციპლინურ გადაცდომად.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატა 2016 წლის 21 ივლისის №დს-შ/9-16 გადაწყვეტილებაში განმარტავს, რომ „კანონიერების პრინციპი კანონის უზენაესობას ეფუძნება. ეს კონსტიტუციური პრინციპია, რომლის თანახმად, არავის არ აქვს უფლება კანონმდებლობის მოთხოვნათა საწინააღმდეგოდ განახორციელოს რაიმე ქმედება.“

ამასთან, მართლმსაჯულების განხორციელების უფლებამოსილება აქვს მხოლოდ მოსამართლეს კანონით დადგენილი წესით, ხოლო მოსამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილების გადასინჯვის უფლებამოსილება ზემდგომი ინსტანციის სასამართლოს კომპეტენციას წარმოადგენს.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო განმარტავს, რომ მტკიცებულებათა შეფასება, მათ შორის მათი რელევანტურობის განსაზღვრა, არის ეროვნული სასამართლოების პრეროგატივა (Barbera, Messegue, Jabardo v. Spain, §68).

„მოსამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილება არ შეიძლება იყოს გადასინჯვის საგანი, გარდა გასაჩივრების ტრადიციული პროცედურისა“ (ალექსანდრე ვოლკოვი უკრაინის წინააღმდეგ §80). დისციპლინური სამართალწარმოების კრილში, დამოუკიდებელი ინსპექტორი ვერ იმსჯელებს მოსამართლის მიერ მიღებული განჩინება/გადაწყვეტილების კანონიერებაზე, ვინაიდან დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახური არ წარმოადგენს სასამართლოს ზემდგომ ინსტანციას, რომელსაც შეუძლია გააუქმოს/შეცვალოს გადაწყვეტილება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის 2019 წლის 30 ივლისის დასკვნით დადგინდა, რომ --- №117 საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები არ შეიცავს მოსამართლე --- მიერ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75<sup>1</sup> მუხლის მე-8 პუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ნიშნებს (2020 წლის 1 იანვრიდან მოქმედი რედაქცია).

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75<sup>12</sup> მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორი იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ, თუ საჩივარი ეხება მოსამართლის მიერ გამოტანილი აქტის კანონიერებას (2020 წლის 1 იანვრიდან მოქმედი რედაქცია).

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დამოუკიდებელმა ინსპექტორმა იხელმძღვანელა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75<sup>10</sup> მუხლის მე-5 პუნქტით, 75<sup>12</sup> მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით და

#### **გადაწყვიტა:**

-- -- 2019 წლის 24 ივნისის №117 საჩივარზე შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება მოსამართლე --- მიმართ.

**ზურაბ აზნაურაშვილი**

**დამოუკიდებელი ინსპექტორი**